ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი №03/14

ქ. თბილისი **17.09.2014**

სხდომა დაიწყო: 18:30 სთ **სხდომა დასრულდა: 19:00 სთ**

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2014 წლის 22 იანვარს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ოფისში, მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ.№36.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ეთიკის კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი. ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა კანონისა და წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, ამის გამო არც ერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. ციცინო ცხვედიანი
2. გია ტაბლიაშვილი
3. ეკატერინე გასიტაშვილი
4. ზვიად კორძაძე
5. პავლე აბაიაძე
6. თეა ჭეიშვილი
7. გიორგი ტურაზაშვილი
8. ნათია კორკოტაძე
9. თორნიკე ბაქრაძე
10. სანდრო ჯორბენაძე

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ეკატერინე გასაიტაშვილს, რომელსაც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ეთიკის კომისიის იურისტი თამარ ხუბულური.

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა ეთიკის კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

ეთიკის კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხი:

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საერთო კრებაზე წარსადგენი ეთიკის კომისიის ანგარიშის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც ადვოკატთა საერთო კრება დეკემბრის თვეში იმართებოდა, 2014 წელს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ადვოკატთა საერთო კრება გაიმართება 28 სექტემბერს. ეთიკის კომისიის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ელექტრონული მეილის მეშვეობით გაეგზავნათ კომისიის წევრებს მომზადდა ეთიკის კომისიის სტატისტიკისა და გაწეული საქმიანობის შედეგად, მასში ასევე შევიდა 2015 წელს დაგეგმილი ღონისძიებები.

კომისიის წევრის ზვიად კორძაძის მოსაზრებით, ვინაიდან არ არის დასრულებული წელი, უმჯობესი იქნება ანგარიში დასათაურდეს შემდეგნაირად: ,,ეთიკის კომისიის 2014 წლის საქმიანობის 08 თვის ანგარიში.“

კომისიის წევრის ეკატერინე გასიტაშვილის მოსაზრებით წარმოდგენილი ანგარიშის პირველი გვერდის მესამე აბზაცი, რომელიც ასახავს შეჩერებულ საქმეებზე ინფორმაციას, შესაძლებელია ამოღებულ იქნეს ანგარიშიდან.

ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა:

ეთიკის კომისიის წევრთა მოსაზრებების გათვალისწინებით შევიდეს ცვლილებები სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საერთო კრებაზე წარსადგენ ეთიკის კომისიის 2014 წლის საქმიანობის ანგარიშში.

<u>კენჭისყრის შედეგები - ერთხმად.</u>

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულდა.

კომისიის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

დანართი - ეთიკის კომისიის 2014 წლის საქმიანობის 08 თვის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

სხდომის მდივანი: /ეკატერინე გასიტაშვილი/